ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით იქმნება შრომითი დიდების რესპუბლიკური მუზეუმი. მუზეუმის მიზანია თემატური გამოფენებისა და სტაციონარული ექსპოზიციის დასმარებით, კონკრეტული ფაქტებისა და ნივთიერ-დოკუმენტური მასალების საფუძველზე უწყვნოს მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას ჩვენი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი დიდების გზა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ჩასახვიდან დღემდე.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროფსაბჭო სთხოვს რევოლუციური მოძრაობის, ომისა და შრომის ფრონტების, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მოწინავე წარმომადგენლებს, ყველას, ვინაც შეუძლია მიაწოდოს ნივთიერი და დოკუმენტური მასალები (მოკლე ავტობიოგრაფია, ანკეტა, შრომის წიგნაკი, დოკუმენტები ჯილდოების შესახებ, ფოტოსურათები, ძველებური შრომის იარაღები და სხვ.), რომლებიც ცხოვრების გზასა და შრომითს საქმიანობას ასახავენ, გადასცენ ისინი ახალშექმნილ მუზეუმს ეკსპოზიციისათვის.

აღნიშნული მასალები შეგიძლიათ წარმოადგინოთ პირადად ან გამოგზავნოთ ფოსტით შემდეგი მისამართით: თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრსპექტი № 43, საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლე, შრომითი დიდების მუზეუმისათვის.

(საქინფორმი).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲚᲝᲥᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

ᲞᲠᲐᲚᲐ

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ შენგლების იდეის დაუძინებელმა მოწინააღმდეგეებმაც კი აღიარეს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამები არა მარტო ლრმად ანალიზებენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, არამედ მოქმედების პროგრამა, მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალი იმპულსია, წერს „რუდე პრავო“, რომელიც განმარტავს მსოფლიო პრესის გამოხმაურებებს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხის გამო.

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ

„**ᲛᲝᲜᲓᲝᲚᲔᲗᲘᲡ** სახალხო-რევოლუციური პარტია, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და მთელი მონგოლი ხალხი, — ხაზს უსვამს ვაზოთი „უნენი“, — სავსებით მხარს უჭერენ ლ. ი. ბრეჟნევის სახელს „პრავდის“ კორესპონდენტისადმი და გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად დაუცხრომლად იბრძოლონ ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის იდეების რეალიზაციისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებისათვის, აზიაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის“.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡᲨᲘ ფართოდ არის ცნობილი სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის თვალსაჩინო პირადი წვლილი მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში, განაცხადა „ფინეთი-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ქრისტინა პოჩკალამ. ლ. ი. ბრეჟნევმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად დაუცხრომლად იბრძოლონ ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის იდეების რეალიზაციისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებისათვის, აზიაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის“.

ᲠᲝᲛᲘ

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ პასუხი კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, რომ ბრძოლა დაძაბულობის შენელების პროცესისა და ხალხთა მორის თანამშრომლობის წინსვლისათვის მთელი დემოკრატიული ძალების, ყველა კეთილი ნების ადამიანის მთავარი მიზანი რჩება, განაცხადა იტალიის პარლამენტის დეპუტატმა, იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა არმანდო მილანმ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ᲩᲔᲛᲘ მტკიცე რწმენით, თქვა თვალსაჩინო ფრანგმა საზოგადო მოღვაწემ რაიმონ მარკ�d, თათბირის ის დადებითი შეფასება, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებისადმი პასუხში, და მის მიერ გამოთქმული ოპტიმიზმი მომავლის პერსპექტივების გამო, განსაკუთრებით დროულად გაისმა. ფრანგი ხალხის დიდი უმრავლესობა, უთუოდ, იზიარებს და მხარს უჭერს ამ შეფასებას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲘ ხალხი, განაცხადა ბრიტანეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობის წევრმა ფრენკ სიიფტმა, იზიარებს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის აზრს, რომ ერთი წლის წინათ ჰელსინკში მიღწეული შედეგები ხანგრძლივი იქნება.

ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲑᲘ

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 4 აგვისტო. (საკ.დესი). გუშინ საერთაშორისო წითელი ჯვრის ჟენევაში პალესტინელ ლტოლვილთა ტელ-ზაათარის ბანაკიდან ბეიროუთში ოთხმოცდაათზე მეტი მძიმედ დაჭრილი ბავშვი, ქალი და მამაკაცი. როგორც ჟენევი ჯვრის მისიის ხელმძღვანელმა ეან ჰოფლეგერმა განაცხადა, ბახიზნულთა უმრავლესობა დაიხოცებოდა, ბანაკში კიდევ ერთ დღესაც რომ დარჩენილიყო. ბანაკში მყოფნი, თქვა ჰოფლეგერმა, უმთავრესად ბავშვები და ქალები, წყურვილით იხოცებიან. წყალი ძალიან ცოტაა, და ისიც, რაც აქვთ, გაუუქყიანებულია. ვარაუდობენ, რომ წითელი ჯვრის ჯგუფები დღეს შეძლებენ განაგრძონ დაჭრილთა გახიზვნა.

მემარჯვენე ძალები ცდილობენ ჩაშალონ წინა კვირაში მიღწეული სირია-პალესტინის შეთანხმება და კვლავ აძლიერებენ დაძაბულობის ქმედებებში. გუშინ დაჭრილთა ნაწილის გახიზვნის შემდეგ, წერს გაზეთი „ან-ნაჰარი“, მემარჯვენე ძალებმა ორტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ტელ-ზაათარის ბანაკს.

მოდის ახალ-ახალი ცნობები, რომ ნატოს წევრი ესპანეთი იარაღს და ტყვია-წამალს აწვდიან მემარჯვენეებს. ბეიროუთში საგარეგეთის კომპარტიის დელეგაციასთან შეხვედრაზე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ღონისძიების თავმჯდომარემ ნ. არაფატმა განაცხადა, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ორმა ამერიკულმა ხომალდმა იარაღი და ვერტმფრენავები ჩამოუტანა ლიბანელ მემარჯვენეებს. წინა დღით ცნობილი გახდა, რომ მემარჯვენე ძალები იყენებენ სფინქსგეთიდან მიღებულ პაუბიცებს.

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 4 აგვისტო. საკ.დესის კორესპონდენტი ვ. განი გვატუობინებს: თეთრი სახლი იძულებულია გახდა ჩარეულიყო ამერიკის იმ კომპანიების ფინანსური მაქინაციებით გამოწვეულ გაუთავებელ სკანდალში, რომლებიც ფართოდ იყენებენდნ მოსყიდვას, როგორც ხელსაყრელი კონტაქტების უზრუნველყოფის საშუალებას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესის განსახილველად გადახცა კანონპროექტი, რომელმაც მიხი სიტყვით, ხელი უნდა შეუწყოს „მომავალში ასეთი ხასიათის პრაქტიკის შეწყვეტას და ამერიკული ბიზნესისადმი ნდობის აღდგენას“.

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფირმებმა და ამ ფირმების საზღვარგარეთის ფილიალებმა „უნდა მიაწოდონ ცნობები“ უცხოეთის მთავრობებთან „მნიშვნელოვანი კანონიერი თუ უკანონო გადასახდელების შესახებ“.



ᲙᲐᲚᲐᲤᲘ ლატაკია სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავარი საზღვაო ჭიშკარია. მხოლოდ ეს ელა კუთხიდან მოდიან აქ გემები, რომლებსაც მოაქვთ ლითონის კონსტრუქციები და მოწყობილობანი, მანქანები და ჩარხები, ფართო მოხმარების საქონელი და კვების პროდუქტები. აქედან კი ხაფქხპორტად გაიქცეთ სირიელი ბამბა, ჭხოვილები და სხვა მრავალი საქონელი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: პოლონური გემი ლატაკიის ნავსადგურში.

ᲑᲢᲐ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ“

ᲢᲝᲙᲘᲝ. 5 აგვისტო. (საკ.დესი). ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელი წყალბადის ბომბი აფეთქდა წყნარ ოკეანის ბიკინის ატოლზე, „ატომური სიკვდილი“ კი ყველგ მუსრავს ხალხს.

როგორც აცხადებენ იაპონელი ექიმები, რომლებმაც მოახერხეს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური რეგულირების საკოორდინაციო კომისიისაგან მიეღოთ მონაცემები ბიკინიდან 120 კილომეტრზე მდებარე ორი ბატარა კუნძულის მცხოვრებთა სამედიცინო გამოკვლევის შესახებ, ატომური აფეთქების გამოწვეული რადიაქტიური ვამოსხივების შედეგად, მას შემდეგ ოცი კაცი გარდაიცვალა. გადარჩენილებსაც სიკვდილი ემუქრებათ. კუნძულელთა უმრავლესობას სისხლის გაეთერება და ავთვისებიანი სიმსივნე სჭირთ.

ამერიკელებმა, რომლებიც ცდილობენ დაუმალონ მსოფლიო საზოგადოებრიობას ბიკინზე წყალბადის ბომბის აფეთქების ტრაგიკული შედეგები, ეს სამედიცინო გამოკვლევა მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში ჩაატარეს და შედეგებსაც დიდხანს ასევე საიდუმლოდ ინახავდნენ. ხელი არავის გაუნძრევია იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ კუნძულელთა ხვედრი, რომლებმაც სასიკვდილო მოსხივება განიცადეს. ბიკინის აბოლის რაიონში მდებარე კუნძულებზე, რომლებზეც ამერიკის შეერთებული შტატები მეურვეობს, არც ერთი ექიმი არ ყოფილა, მირისიმის ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ჰოსპიტალის სპეციალისტების დასკვნით კი, ამ კუნძულების მცხოვრებლებს ხასწრაფად სამედიცინო დახმარება სჭირდებათ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. 4 აგვისტო. (საკ.დესი). თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განმახლვრელი ელემენტი კვლავ დაძაბულობის შენელებაა. დაძაბულობის შენელების გაღრმავებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა და ამ მიმართულებით სოციალისტური ქვეყნების, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების საერთო მეცადინეობა. ეს ნათქვამია უნგრეთის სახალხო რეპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ლაზარის პოლონეთში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ყოფნის შესახებ კომუნიკეში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ აუცილებელია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის „პარშ2ნ ხელმოწერილი დასკვნითი აქტის დებულებების მთლიანად შესრულება. ორივე მხარემ აღნიშნა აგრეთვე, რომ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი კონტინენტზე მშვიდობის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესის განმტკიცებას.

კომუნიკეში აღნიშნულია მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების მნიშვნელობა, ავრეთვე ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს დიდმნიშვნელოვანი როლი მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში.

ᲨᲔᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲦᲠᲣᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ᲠᲝᲛᲘ. 4 აგვისტო. საკ.დესის კორ. რ. მალიშევი იუწყება: აქ გაიმართა მინისტრთა საბჭოს სოციალური სხდომა, რომელზეც იმსჯელეს იტალიის ჩრდილოეთის ქალაქებში — სევეზოსა და მედიაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, შეფიცარიის კომპანიის ქიმიურ ქარხანაში „იკმეზაში“ მომხდარი აფეთქების შედეგად ამ ქალაქების ჰაერი ძლიერი ტოქსიკური გაზებით მოიწამლა. რამდენიმე ათეული კაცი სერიოზულად არის მოწამლული, დაიღუპა ასობით სული შინაური პირუტყვი, დაშხამულია მცენარეულობა. სევეზოსა და მედის რაიონიდან უკვე ვახაზნეს 700-ზე მეტი კაცი. ადგილობრივ ხელისუფალთა განცხადებისამებრ, მოწამლულია ტერიტორია, რომელზეც 100 ათასამდე კაცი ცხოვრობს. ექიმების აზრით, შხამიანი ღრუბლის გავრცელება გასაკუთრებით დაუღუპელი იქნება მოწამლულ ზონაში მცხოვრები ორსული ქალების ჯანმრთელობისათვის.

ოფიციალურად ჯერ არ გამოუცხადებიათ, თუ სახელდობრ რა ქიმიური ნივთიერებებს უშვებდა ქარხანა „იკმეზა“. დღეს სენსაციურ მამხილებელ მასალას ბუნდოვნ ყოველკვირეული „ესპრესო“, რომელიც ამტკიცებს, რომ „იკმეზა“ ნატოს შეიარაღებული ძალებისათვის აწარმოებდა ტრუსკურ გაზებს და ქიმიურ ნივთიერებებს. ეურნალის მონაცემებით, ქარხნის ქიმიური პროდუქცია ეგზავნებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებისა და ბუნდესვერის „ქიმიური დაცვის“ სპეციალური ნაწილები. როგორც „ესპრესო“ აცხადებს, სწორმოში ავარიის შემდეგ მაშინვე შეეიდნენ იტალიის ქალაქ ვერონეზში მდებარე ამერიკული ბაზების სამხედრო მოსამსახურეები და დასავლეთგერმანული სამხედრო პირნი.

დემოკრატიული პარტიები და ორგანიზაციები მოითხოვენ ბიუჯეტულ ანგარიშ ადგილებზე ზომები დაზარალებული მოსახლეობისათვის ეფექტიანი დახმარების გასაწევად.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲕᲐ

ᲠᲝᲛᲘ, 5 აგვისტო. (საკ.დესი). იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ პარლამენტის განსახილველად შეიტანა თავისი ერთპარტიული კაბინეტის პროგრამა. როცა კაბინეტი საგარეო-პოლიტიკური ნაწილი ჩამოაყალიბა, ჯ. ანდრეოტიმ თქვა, „დაძაბულობის შენელების პოლიტიკა რეალისტური და პრაგმატისტული თვალსაზრისით, იდეოლოგიური უთანხმოებისა და საერთაშორისო ინტერესების სფეროს გარეშე უნდა განვიხილოთო“. ჯ. ანდრეოტიმ დაადასტურა, რომ მთავრობას განხორციელული ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის ყველა ნაწილი. მან მხარი დაუჭირა ყველა სახელმწიფოსთან იტალიის ურთიერთობის განვითარებას და დასძინა, რომ ამ სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ იტალიის სუვერენიტეტსა და ეროვნულ ღირსებას.

შეეხო რა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას, მან თქვა: „შეგობრულმა დიალოგმა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან გვაქვს, დადასტურა თავისი ქმედითობა, და ჩვენ განზრახული გვაქვს განვავრძოთ ეს დიალოგი საბჭოთა კავშირთან კონსტიტუციების შესახებ ოქმის ხელმოწერამდე და მის შემდეგ მიღწეული შეთანხმების ფარგლებში“.

ევნაში მიმდინარე შოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ „დიდმნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ევროპის კონტინენტზე სახელმწიფოთა უფრო სტაბილურ ურთიერთობის“. ჯ. ანდრეოტიმ აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და აშრკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ჯ. ანდრეოტის სპეციალურ ადგილს მიიძღვნა ევროპის ეკონომიური მდგომარეობას, აგრეთვე რიგ ულ შინაპოლიტიკურ პრობლემებს, რომლებსაც გადაწყდება ახალი მთავრობა, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა არა ჰყავს. ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრმა თქვა, მთავრობა იძულებული იქნება ეკონომიკისა და ფინანსების დარგში „მკაცრ ღონისძიებებს“ მიმართოს, გაზარდოს გადასახადები და ეშოვოს ახალი სესხი საზღვარგარეთ.

ახალი კაბინეტისადმი ნდობის საკითხზე კამათი და კენჭისყრა დეპუტატთა პალატაში მომდევნო კვირაში გაიმართება. დღეს სენატი შეუდგა მთავრობის პროგრამის განხილვას.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 5 აგვისტო. (საკ.დესი). თეთრმა სახლმა კვლავ დაადასტურა იტალიის საშინაო საქმეებში ეუნეში ჩარევის ფაქტი, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა მიმართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად, როცა გადაწყვეტა არ გაეწია ფინანსური, კეკონომიური დახმარება რომისათვის, თუ იტალიის მთავრობის შემადგენლობაში კომპარტიის წარმომადგენლები შევიდოდნენ. პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ბ. სკოუკროფტმა წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარეს წერილში აცნობა, რომ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების „უფროსი-რიკის „კონფერენციაზე „ადგილი ჰქონდა“ იტალიის საფინანსოდ ერთობლივი ეკონომიური სანქციების განხილვას.

ამასთანავე, როგორც წერილიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს ალარ დაუშვას პუეტტო-რიკოს მორიგების შემდგომი გამოაშკარავება, რომელმაც მსოფლიოს საზოგადოებრიობის გულისწყრომა გამოიწვია. ბ. სკოუკროფტმა, კერძოდ, გაიმაშჭრა კონგრესმენ მ. ჰარინგტონის მიერ შეტანილი ინ წინადადების წინააღმდეგ, რომ წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიამ მოაწყოს იტალიის საფინანსო-მდგომარეობის კონფიდენციალური სანქციების გამოძიება.

ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 4 აგვისტო. (საკ.დესი). გუშინ საერთაშორისო წითელი ჯვრის ჟენევაში პალესტინელ ლტოლვილთა ტელ-ზაათარის ბანაკიდან ბეიროუთში ოთხმოცდაათზე მეტი მძიმედ დაჭრილი ბავშვი, ქალი და მამაკაცი. როგორც ჟენევი ჯვრის მისიის ხელმძღვანელმა ეან ჰოფლეგერმა განაცხადა, ბახიზნულთა უმრავლესობა დაიხოცებოდა, ბანაკში კიდევ ერთ დღესაც რომ დარჩენილიყო. ბანაკში მყოფნი, თქვა ჰოფლეგერმა, უმთავრესად ბავშვები და ქალები, წყურვილით იხოცებიან. წყალი ძალიან ცოტაა, და ისიც, რაც აქვთ, გაუუქყიანებულია. ვარაუდობენ, რომ წითელი ჯვრის ჯგუფები დღეს შეძლებენ განაგრძონ დაჭრილთა გახიზვნა.

მემარჯვენე ძალები ცდილობენ ჩაშალონ წინა კვირაში მიღწეული სირია-პალესტინის შეთანხმება და კვლავ აძლიერებენ დაძაბულობის ქმედებებს. გუშინ დაჭრილთა ნაწილის გახიზვნის შემდეგ, წერს გაზეთი „ან-ნაჰარი“, მემარჯვენე ძალებმა ორტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ტელ-ზაათარის ბანაკს.

მოდის ახალ-ახალი ცნობები, რომ ნატოს წევრი ესპანეთი იარაღსა და ტყვია-წამალს აწვდიან მემარჯვენეებს. ბეიროუთში საგარეგეთის კომპარტიის დელეგაციასთან შეხვედრაზე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ღონისძიების თავმჯდომარემ ნ. არაფატმა განაცხადა, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ორმა ამერიკულმა ხომალდმა იარაღი და ვერტმფრენავები ჩამოუტანა ლიბანელ მემარჯვენეებს. წინა დღით ცნობილი გახდა, რომ მემარჯვენე ძალები იყენებენ სფინქსგეთიდან მიღებულ პაუბიცებს.

„ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ“

ᲢᲝᲙᲘᲝ. 5 აგვისტო. (საკ.დესი). ოც წ

საქართველოს ცხოვრებიდან

ᲙᲘᲜᲝ

რაჭავ—ჩემო სიყვარულო!

იღებენ ახალ ფილმს





მხატვრულ ფილმს, რომელსაც იღებენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ და ბრატისლავის სტუდია „კოლიბახ“ შემოქმედებითი კოლექტივები. დრამატურგ ხ. ყულენტის სცენარის მიხედვით იქმნება და საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების მეგობრობას ასახავს.

ახალ ფილმს დგამენ რეჟისორები თეიმურაზ ფალავანდიშვილი (სსრ კავშირი) და იოზეფ მედვედი (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა). ფილმს ოპერატორები დუდარ მარგიევი და მისი ჩეხოსლოვაკიელი კოლეგა ტაბორ ბიატი იღებენ.

რაჭა ჩვენი რესპუბლიკის მთიანი მხარეა. შორეულ ჩეხოსლოვაკიაში თავიანთი რაჩა აქვთ. ფილმის გმირები — საბჭოთა ტურისტები შემთხვევით ხვდებიან სლოვაკიის რაჩაში, ეცნობიან მცხოვრებლებს, იქენენ მეგობრებს და მათთან ერთად ჩამოდიან სამშობლოში.

ქართულ-სლოვაკიური ერთობლივი მხატვრული ფილმის გადაღება საქართველოში მიმდინარეობს, შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიაში განაგრძობენ.

სურათებზე: ახალი ფილმის კადრი: ხილიბისტრის როლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იპოლიტე ხვიჩია, ზაურას როლში მსახიობი ბადრი კაკაბაძე; ფილმის გადაღების სამუშაო მომენტი. (მარჯვნიდან) რეჟისორები თეიმურაზ ფალავანდიშვილი, იოზეფ მედვედი და ოპერატორი ტაბორ ბიატი; ცნობილი სლოვაკი მსახიობი ანდრეა ჩუმბერლიკოვა. იგი დარინას როლს ასრულებს.

ᲤᲝᲢᲝ ᲗᲔᲗᲠᲝᲕᲘᲩᲘᲡ

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲙᲘ-ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ

თბილისის ზღვაზე გაიხსნა სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკი 240 ბავშვისათვის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმოქმედებს. თვალწარმტაც ადგილზეა აღმართული პიონერული ჯანმრთელობის კერის კორპუსები. აქ არის ბიბლიოთეკა, სასადილო, თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით აღჭურვილი სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები და... სკოლა. 10-14 წლამდე ასაკის ბავშვებს რუსულ და ქართულ ენებზე ასწავლიან. კორპუსების გვერდით კინოთეატრი გახსნილი.

პიონერთა ბანაკ-სანატორიუმში უმკურნალებენ ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ქრონიკულად დაავადებული სასხლრები, ავრცელებენ ირატუბერკულოზური ხასიათის სასუნთქი ორგანოების დაავადებანი. ზაფხულის არდადეგების დღეებში აქ ორ ნაკადად ჩამოვლენ ბავშვები საგზურებით და 45 დღეს დაისვენებენ, ხოლო სასწავლო წლის დამთავრდან — 4 ნაკადად — 65 დღით. ასე იმკურნალებენ და ამავე დროს სკოლაში ისწავლიან ბავშვები მთელი მეთხუთმეტ განმავლობაში, ვიდრე საგზურის ვადა არ გაუვიათ. (საქინფორმი).

□

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲘᲗ

□ **დუშეთი.** არაგვისპირეთის, მჭადიჯვრის ხიბუოთა მეურნეობებსა და „საქსოფლტექნიკის“ დუშეთის განყოფილებაში მუშაობას შეუდგა მექანიზატორთა მოსამზადებელი კურსები.

პირველ ორ წელიწადში კურსები 270 მექანიზატორს მოამზადებს.

ლ. ᲑᲝᲚᲝᲠᲗᲝᲕᲘᲚᲘ.

□ **ამბროლაური.** ქრებაღის ცენტრში სამსართულიანი უნივერსალური მაღაზია აშენდა, ხოლო წესში — სოფლის მაღაზია. ახალი სავაჭრო ფართლები გაიხსნა კვაცხუთში და ხიმშში.

ᲐᲛ. ᲙᲐᲠᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔ.

□ **ონი.** მამისონზე მყოფ ფერმის მუშაკებს ახლახან უწერის სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის მუშაკები ესტუმრნენ. მათ ფერმაში ახალი ჟურნალ-გაზეთები და მხატვრული ლიტერატურა მოიტანეს. სასოფლო კლუბთან არსებულმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ჯგუფმა (ხელმძღვანელი მ. სულიაშვილი) მეცხოველეებს კონცერტი გაუმართა.

ნ. ᲓᲣᲨᲣᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

□ **დაბა** მახინჯაურში გაიხსნა ქიმიური წმენდის ახალი საამქრო, რომელიც თანამედროვე მოწყობილობით არის აღჭურვილი.

საამქრო მოემსახურება რაიონის მშრომელებსა და დამსვენებლებს.

Უ. ᲑᲔᲠᲐᲘᲐ.

□ **ზუგდიდი.** ამას წინათ სოფელ ანაკლიაში, ერგეტის უბანში ახალი საფოსტო განყოფილება გაიხსნა.

ერგეტელი მშრომელები ფოსტის მუშაკთა მომსახურეობით კმაყოფილნი არიან.

Ბ. ᲐᲚᲐᲨᲘᲐᲜᲘᲐ.

ᲤᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲒᲐᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐᲛ

ᲙᲐᲠᲒᲘ საქმე გაკეთდა. გამოიცა წიგნი, რომელიც დაგმშვენებს მწერლისა თუ ჟურნალისტის, მეცნიერისა თუ პედაგოგის, ხელოვნებისა თუ კულტურის მუშაკის მაგიდას.

კარგისანი ამ ყაიდის ლიტერატურას ნაკლებობას განიცდიდნენ ისინი, ვისაც უყვარს და ინტერესებს, იზიდავს და ახალისებს ჟურნალისტიკის პრობლემები, საგამომცემლო საქმითნობა და მისი სპეციფიკა. ახლა ეს დიდი ხარვეზი ნაწილობრივ შევსებულია.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ საქართველოს ჟურნალისტთა ავშირის დაკვეთით გამოსცა ნ. ვ. ბოგდანოვისა და ბ. ა. ვიაზემსკის „ჟურნალისტის ცნობარი“. ის გრიგოლ იარალოვის თარგმანია მესამე რუსული გადამუშავებული და შევსებული გამოცემიდან.

„ჟურნალისტის ცნობარი“ კარგი შენაძენია, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტების, ისე საგამომცემლო საქმის მოყვარულთათვის და ამ დარგით დაინტერესებული მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ბ. იარალოვს დიდი მუშაობა გაუწევია, როცა წიგნის ფოტორები მოუნახულებია მოსკოვსა და ლენინგრადში, „ცნობარი“ შეუსია ქართული მასალებით და ამ კიდევ უფრო საინტერესო და მამზადებელი გზებდა ჩვენი მკითხველისათვის, ამას მეტყველებს „ცნობარში“ შეტანილი ახალი თავები, ცალკეული ადგილები ქართული პერიოდიკის ისტორიიდან და დღეგანდელი პრაქტიკიდან.

ცნობარი ხალისიანად იკითხება. მასში თანმიმდევრულად არის განხილული როგორც ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, საინფორმაციო და დეპეშათა საგენტოების, რადიოსა და ტელევიზიის, ისე გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოებისა და პრესის გავრცელების ორგანოების მუშაობის პრინციპები.

წიგნში მოცემულია სარედაქციო და საგამომცემლო მუშაობის, საგაზეთო და საჟურნალო მასალების ცალკეული პროცესების განხილვა, კლასიფიცირებული და განმარტებულია ჟურნალისტური ჟანრები, პროფესიული ტერმინოლოგია და სიტყვები, რომლებიც გვხვდება სარედაქციო მუშაობასა და პოლიგრაფიაში.

ლექსიკონი, რომელიც ნაშრომს ერთვის, მოკლედ გვაცნობს რეგიონალიზმული რუსულ-ქართული გამოცემები, პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების იმლიოგრაფიას.

„ცნობარში“ მოკლედ მიმოხილულია უცხოეთის პრესა, დეპეშათა საგენტოები, რადიო და ტელევიზია.

თითქმის აშვიათია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც პრესა და რადიოს, ტელევიზიის, დეპეშათა საგენტოსა და გამომცემლობის, პრესის გავრცელების ორგანოების მუშაკებმა პასუხი ვერ მიიღონ „ცნობარიდან“ ათთვის საინტერესო საკითხებზე.

წიგნის გამოცემის ხარისხზე უზრუნველად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკებს, ის ლამაზად არის გაფორმებული, მარგამ, სამწუხაროდ, აქა-იქ შეიმჩნევა ტექნიკური ხასიათის ნაკლი (ოთახბრო ანაწყობი, კორექტურული შეცდომები, არათანაბარი ბეჭდვა და სხვ.). მართალია ისინი შინაარსზე გავლენას არ ახდენენ და რიგითმა მკითხველმა შეიძლება ვერც კი შენიშნოს, მაგრამ სპეციალისტებს მხედველობიდან არ გამორჩებათ.

ვინაიდან სარეცენზიო წიგნის მომზმარებელთა კონტინგენტი ჩვენში მეტად დიდია, სასურველი იყო, რომ „ცნობარი“ უფრო დიდი ტირაჟით გამოცემულიყო.

Ა. ᲐᲚᲘᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

□

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲨᲘ ᲢᲠᲝᲚᲔᲘᲑᲣᲡᲘ ᲘᲕᲚᲘᲡ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ხელვაჩაურისაკენ მრავალი სარეისო ავტობუსი დადის, მაგრამ ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. და აი, გადაწყდა ბათუმისა და ხელვაჩაურის რაიონული ცენტრის დაკავშირება ტროლეიბუსის ხაზით.

უკვე გაშლილია ინტენსიური მუშაობა, ამონტაჟებენ ხაზებს, აფართოებენ გზას. გეგმით ხაზი წლეულს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, ხოლო გაისად ტროლეიბუსი მწვანე კონცხ-ბათუმის მარშრუტითაც იცლის.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲔᲑᲡ

შვრემეტიევის აეროპორტში გულთბილად შეხვდნენ სპორტის მოყვარულნი ჩვენს სახელოვან ოლიმპიელებს. ოლიმპიადის ორი კვირა უკან დარჩა და დღეს ამაყად შეგვიძლია ვილაპარაკოთ მონრეალში ჩვენი ნაკრების დამაჯერებელ გამარჯვებაზე. 47 ოქროს, 43 ვერცხლისა და 35 ბრინჯაოს მედალი — ასეთია „ბარგი“ ჩამოიტანეს სამშობლოში საბჭოთა სპორტსმენებმა.

4 აგვისტოს გამართულ მიტინგზე, რომელიც დედაქალაქში ოლიმპიელთა ჩამოსვლას მიეძღვნა, სპორტსმენებს დიდი წარმატება მიეღოცა სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ოლეგ მაკაროვმა. კოსმონავტებმა, თქვა მან, კარგად იციან სპორტის ფასი, და შესაძლოა სხვებზე უკეთ ესმოდეთ, რა ძნელია დღეგანდელ დიდ სპორტში გამარჯვება.

დედაქალაქის კომკავშირელთა სახელით ოლიმპიელებს მიესალმა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი ლენა მუხინა. — ოლიმპიადის დღეებში, — თქვა ლენამ, — სასკოლო შეჯიბრებაში ჩვენც ვიდალობთ რეკორდების დამყარებას. ნორჩ სპორტსმენთა შორის ხომ ნამდვილად არიან ისინი, რომლებიც 1980 წლის მოსკოვის საზაფხულო ოლიმპიადის ასპარეზობაში მიიღებენ მონაწილეობას. ტყუილად კი არ არის ჩვენი დევიზი: „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან“.

ოლიმპიადის ჩემპიონმა გუნდურ შეჯიბრებაში ტანმოვარჯიშე ლიუდმილა ტურიშჩევამ და მძიმე წონაში ძიუ-დოს მოჭიდავეთა შორის გამარჯვებულმა სერგი ნოვიკოვმა, რომლებიც ოლიმპიელ სპორტსმენთა სახელით გამოვიდნენ, გულითადი მადლობა გადაუხადეს გულშემატკივრურ იმ მრავალი გულთბილი მისალმებისათვის, რომლებსაც ჩვენი გუნდი იღებდა ოლიმპიურ სოფელში. სამშობლოდან მიღებული ეს ბარათები ალფრთოვანებდნენ სპორტსმენებს, ეხმარებოდნენ, ძალას მატებდნენ ოლიმპიური ჯილდოებისათვის ბრძოლაში.

(საკვლევის კორ.).

ᲛᲐᲙᲚᲠᲐᲙᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲑᲠᲜᲘ, 5 აგვისტო. (საკ.ინ.). შვეიცარიის ქალაქ ბილში საზონათშორისო საჭადრაკო შეჯიბრების უკანასკნელი ტურის წინ მიხეილ ტალი ლიდერობს. მას 11,5 ქულა აქვს. ჯერჯერობით მეორე ადგილზეა დანიელი ბენტ ლარსენი — 11 ქულა და ორი გადადებული პარტია, 11-11 ქულა აქვს ოთხ მონაწილეს — ვასილ სმისლოვს, ტიგრან პეტროსიანს, ლაიოშ პორტიშსა (უნგრეთი) და რობერტ ჰიუბნერს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). იან სმეიკალმა (ჩეხოსლოვაკია) მოაგროვა 9.5 (1), ეფიმ გელერმა — 9,5, რობერტ ბირნნა (ამერიკის შეერთებული შტატები) — 9 (2), ულფ ანდერსონმა (შვეიცარია) — 9 (1) ქულა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლას ვანაგრძობს სამი საუკეთესო მოჭადრაკე.

უკანასკნელისწინა, მეთვრამეტე ტურში პეუბნერი დამარცხდა ტიგრასიანთან, ტალმა დამარცხა კოლუმბიელი ოსკარ კასტრო, რაულ სანგინეტისა (არგენტინა) და გელერის პარტია ყაიმით დამთავრდა. ასევე დაზაფდნენ კუბელი ოიახიმ დიასი და სმისლოვი.

დღეს გათამაშდება დაუმთავრებელი პარტიები.

ᲡᲐᲛᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ტოლიატში, პოლტავასა და აქტიუბინსკში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალები ქალთა შორის.

პოლტავაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავენ ციცინო კახაბრიშვილი და ქეთინო მელაშვილი, აქტიუბინსკში — ნინო გურეიანი.

ყველაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის ლელეგაცია ტოლიატში. აქ გამოდიან საერთაშორისო ოსტატები მაია ჩიბურდანიძე, ოსტატები თამარ ხუციშვილი და ნანა იოსელიანი.

ამ ნახევარფინალების ოთხ-ოთხი გამარჯვებული ეფლებას მოიპოვებს იასპარეზის სსრ კავშირის ქალთა პირველობის ფინალში, რომელიც ოქტომბერში გაიმართება თბილისში. ამ გადამწყვეტ ტურნირში ნავარაუდევია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილისა და მისი ამსაწყინებელი პრეტენდენტის ნანა ალექსანდრიას გამოსვლა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲠᲤᲘᲐ. ლვოვის „კარპატი“ პოლონეთის ქალაქ ხოჟუვში დამარცხდა ამხანაგურ მატჩში ადგილობრივ „სტალთან“ — 1:3.

ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინამაშების პირველ მატჩში უელსის „კარდიფ სიტი“ თავის მოედანზე მოუგო შვეიცარიის „სერვეტს“ — 1:0. სპასუხო მატჩი გაიმართება შვეიცარიაში. ამ შეხვედრებში გამარჯვებული ამბანერებს სსრ კავშირის თასის 1976 წლის მფლობელთან, რომელიც გამოვლინდება 3 სექტემბერს.

ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲘ. „პამირ-76“-ის საერთაშორისო ალპინიადის მონაწილეებმა განაცხორციელეს პირველი ასვლა ჩვენი ქვეყნის უდიდეს მწვერვალზე — კომუნიზმის პიკზე (7.495 მეტრი).

Ვ. Ა. ᲙᲑᲘᲚᲐᲫᲔ

გარდაიცვალა 1917 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ვლადიმერ ალექსანდრე კბილაძე.

იგი დაიბადა 1898 წელს რაჭის მაზრის სოფელ თლუღში. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში დაუკავშირდა რაჭის პარტიულ ორგანიზაციას, ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა არალეგალურ წრეს და ავრცელებდა რევოლუციურ ლიტერატურას.

ვ. კბილაძე კომკავშირელთა პირველ თაობას ეკუთვნის. 1918 წელს მან პირველი კომკავშირული ორგანიზაციები შექმნა რაჭის მაზრაში, შემდეგ კი — 1919 წელს კომკავშირის რაჭის სამაზრო კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1920 წელს ვ. კბილაძე კომკავშირის თბილისის კომიტეტის წევრი იყო. იმავე წლის ზაფხულში კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ, 1921 წელს, წვიდა პარტიზანულ რაზმში და იბრძოდა მენშევიკური ჯარის წინააღმდეგ.

1921 წელს საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე ვ. კბილაძე კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს, 1921-22 წლებში კომკავშირის რაჭის სამაზრო კომიტეტის მდივნად მუშაობდა. 1926 წელს დაამთავრა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. შემდგომ წლებში მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად.

ვ. კბილაძე დაჯილდოებული იყო მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელოთი.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘ

გუშინ 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოში მოღრუბლული ამინდი იდგა. დილის საათებში ზოგან წვიმდა. ყველაზე მაღალი გემპერატურა აღინიშნა საჩხერეში — 29, ამბროლაურსა და ონში — 28, საქარაში — 26, ქუთაისში, ტყიბულსა და ბაგრატში — 25 გრადუსი. ბარის დანარჩენ რაიონებში — 21-24 მთიან რაიონებში — 20-24 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში მოღრუბლული, უნალექო ამინდი იყო, ტემპერატურა ბარში — 29-33, მთაში — 18-22 გრადუსი. ყველაზე მაღალ ტემპერატურას თერმომეტრი უჩვენებდა გარდაბანში — 33, თბილისში — 32, ბოლნისში — 30 გრადუსს.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სამხრეთის რაიონებში ხანმოკლე წვიმა, ზოგან ელჭექი, იქრიალებს სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში — 27-32, მთიან რაიონებში — 23-27 გრადუსი.

თბილისშიც ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი უმნიშვნელო წვიმით. იქროლებს სუსტი ქარი. ტემპერატურა — 30-32 გრადუსი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მ. ი. კუჭავა განთავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

რედაქტორი
დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲘ.Თ

□

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲛᲔᲥᲐᲠᲒᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან ნემოს საიდუმლო კუნძული“ (მესამე და მეოთხე სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „პატარა ლტოლვილი“ იაპონია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ნაწარმოები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — ტელეფილმი, 18.40 — გასტროლების შემდეგ, 19.05 — „ეუფი ჩვენი არსობისა“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან ნემოს საიდუმლო კუნძული“ (მეხუთე და მეექვსე სერია). პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საესტრადო პანორამა“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.30 — მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი“ (მეხუთე სერია).

ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲥᲝᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲨᲘᲚᲓᲘᲐᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲗᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲗ 1976-77 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

რესპუბლიკურ სკოლას და მის ფილიალს აქვს ორი განყოფილება — სტენოგრაფიის და მანქანაზე წერისა. სტენოგრაფიის განყოფილება ამზადებს სტენოგრაფისტებს, მდივან-სტენოგრაფისტებს, მანქანაზე წერის განყოფილება კი — მდივან მემანქანეებს, მდივნებს და საქმის მწარმოებლებს, რომლებსაც სტენოგრაფია ეცოდინებათ. სკოლასა და მის ფილიალში არის ორი სექტორი — ქართული და რუსული.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მდიდრობითი სქესის მოზარდები (აგრეთვე მამრობითი სქესის მოქალაქეთა მცირე ნაწილი).

სკოლასა და მის ფილიალში შემსვლელნი გამოცდას აბარებენ მშობლიურ ენაში (წერა).

ის პირნი, რომლებიც საშუალო სკოლის ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრებისას ჯილდოებული არიან ოქროს, ვერცხლის მედლით ან წარჩინების დიპლომით, აგრეთვე უმაღლესი განათლების მქონე პირები უგამოცდოდ მიიღებიან.

სტენოგრაფიის განყოფილებაზე სწავლების ვადაა ორი წელი, მანქანაზე წერის განყოფილებაზე კი — ერთი წელი.

სკოლა სამეურნეო ინგლისურენოვანია.

სკოლასა და ფილიალში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), ავტობიოგრაფია, ორი ფოტოსურათი.

მეცადინეობა იწყარმოებს წარმოებას მოუწყვეტლივ და მოწყვეტით (დღისით და საღამოს).

განცხადებები მიიღება 31 აგვისტომდე ყოველდღე (გარდა კვირა დღისა) 10-დან 18 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება 27-დან 31 აგვისტომდე. სკოლაში შემსვლელმა გამოცდაზე უნდა იქონიოს პასპორტი.

სკოლის მისამართია: თბილისი, კამოს ქ. № 52, ტელეფონი № 95-99-02. ფილიალის მისამართია: ქ. ქუთაისი, შუმიანის ქ. № 1, მე-10 რუხული საშუალო სკოლა, ტელეფონი 5-55-27.

□

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲘᲜᲝ, ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲗᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲗ 1976-77 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲜᲘᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲒᲯᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲥᲝᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲨᲘᲚᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲜᲘᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ.

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ.

ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲔᲛᲘᲗ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲦᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ.

ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲗ.

ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲗ.

ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 100 კაცზე.

1. პროექტის დამუშავებისას ავტორებმა უნდა იხელმძღვანელონ სამშენებლო ნორმებითა და წესებით და თანდართული პროგრამამით (დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში ავტორებს შეუძლიათ მისი კორექტირება).

2. გამაჯანსაღებელ-აღმზრდელობითი კომპლექსი „მზიური“ უნდა ორგანულად შეერწყოს ქ. თბილისის გეგმარებით სტრუქტურას, უზრუნველყოს მომსვლელთა ორგანიზებული მიღება და თანმიმდევრული განაწილება მთელ ტერიტორიაზე.

3. კომპლექსი „მზიური“ წარმოადგენს მეცადინეობების რეგულარულად ჩატარების ადგილს ძირითადად ქ. თბილისის ბავშვებისათვის. იგი უნდა მოემსახუროს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკიდან, საბჭოთა კავშირიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ ბავშვებს.

4. კომპლექსმა უნდა შექმნას ხელსაყრელი მატერიალური გარემო ბავშვების სულიერი განვითარებისათვის, ხელი შეუწყოს სკოლისგარეშე აღზრდის უმნიშვნელოვანესი სოციალური და პედაგოგიური ამოცანების თანმიდევრად დონეზე გადაწყვეტას. აქ ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს ეუზიკურად ჯანმრთელი, ფიზიკურ-ესთეტიკურად მომზადებული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

5. სივრცის ორგანიზაცია და გარემოს კონკრეტიზაცია სკოლისგარეშე მუშაობისათვის უნდა მოხდეს არსებული ბუნებრივი პირობების ფაქსიმალური გამოყენებით.

6. „მზიურის“ მრავალფუნქციონალური. სივრცულად განვითარებული სტრუქტურა განაპირობებს სხვადასხვა შენობების, ნაგებობების, ღია მოედნების, მცირე ფორმების, თავისუფალი ტერიტორიების, ბუნებრივი ელემენტების და სხვათა ისეთნაირი გაერთიანების აუცილებლობას, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოხერხებული ურთიერთკავშირი, ხელსაყრელი პირობები ურთიერთობებისა და შემოქმედებითი შრომის შეთავსებისათვის გართობასა და დასვენებასთან.

7. კომპლექსს უნდა ჰქონდეს მოქნილი ფუნქციონალური და დაგეგმარებითი სტრუქტურა, რომ მისი ექსპლოატაციის პროცესში იყოს საშუალება დიდი რეკონსტრუქციების გარეშე ზოგიერთი უბნებისა და ნაგებობების ფუნქციებში შეტანილ იქნას კორექტივები. რომელთა აუცილებლობაც ხდება ადამიანურ-ეროს მომსვლელთა რაოდენობის, გართობის სახეობისა და კულტურულ-სააგმანათლებლო მომსახურების დონის შეცვლამ.

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ:

1. კონკურსის პროგრამა დანართითურთ.

2. კომპლექსის ტოპოსურათი მასშტაბით 1:5 000.

3. სამაშვრ რაინგზის ტრასა მასშტაბით 1:10 000.

კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას:

**1. კომპლექს „მზიურის“ გენერალური გეგმა მასშტაბით